



**ოკუპირებული ტერიტორიებიდან  
დევნითა, შრომის, ჯანმრთელობისა  
და სოციალური დაცვის სამინისტრო**

02 აგვისტო 2023

  
MOH 5 23 00000271

ქ.თბილისი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**„მოზრდილ პაციენტებში შაქრიანი დიაბეტის მართვა პირველად ჯანდაცვაში“ -  
კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) და „ტიპი  
2 შაქრიანი დიაბეტის მართვა“ - კლინიკური გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ2“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები), კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) და დაავადებათა მართვის კლინიკური გზამკვლევის შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 17 მაისის N32/ნ ბრძანებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

**1. დამტკიცდეს:**

ა) „მოზრდილ პაციენტებში შაქრიანი დიაბეტის მართვა პირველად ჯანდაცვაში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) (დანართი №1);

ბ) ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მართვა - კლინიკური გზამკვლევი (დანართი №2).

**2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს** „მოზრდილ პაციენტებში შაქრიანი დიაბეტის მართვა პირველად ჯანდაცვაში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 30 აგვისტოს №01-338/ო ბრძანება.

**3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.**

მინისტრი  
ზურაბ აზარაშვილი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად

